საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/165

ქ. ბათუმი 08 ივლისი, 2022წ

„ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნათია დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 06 ივლისის N01-02/162 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2022 წლის 05 ივლისის N21-20/11 სხდომის ოქმის, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის, პროფესორ რეზო მანველიძის 2022 წლის 07 ივლისის MES 4 22 0000771569 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნათია დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 06 ივლისის N01-02/162 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტის „2.1.“ და „2.3.“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.“ ნათელა წიკლაშვილი (კომისიის თავჯდომარე) - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;“;

„2.3.“ რეზო მანველიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;“.

2. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**